

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა

I კვარტალი, 2022

მოკლე შეჯამება

- 2021 წლის ეკონომიკური ზრდა საქართველოსთვის: 10.4 პროცენტი
- წინასწარი მონაცემებით, ეკონომიკურმა ზრდამ 2022 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 14.4 პროცენტი
- პირველ კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 13.2 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 5.6 პროცენტი
- ექსპორტი გაიზარდა წლიურად 43.3 პროცენტით
- იმპორტი გაიზარდა წლიურად 35.7 პროცენტით
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლი მნიშვნელოვნად გაიზარდა საბაზო ეფექტის გამო, თუმცა ჯერ კიდევ რჩება 2019 წლის დონეზე დაბლა
- რეფინანსირების განაკვეთი გაიზარდა და შეადგენს 11.0 პროცენტს



სარჩევი

რეალური სექტორი	4
ეკონომიკური ზრდა	4
დასაქმება და უმუშევრობა	6
ფასების დონე	7
რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა	9
 საგარეო სექტორი	 11
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	11
საგარეო ვალი	12
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	12
საგარეო ვაჭრობა	13
ტურიზმი	14
ფულადი გზავნილები	15
სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება	16
გაცვლითი კურსი	17
 ფისკალური სექტორი	 18
ნაერთი ბიუჯეტის შესრულება	18
საქართველოს სახელმწიფო ვალი	20
 მონეტარული სექტორი	 21
კერძო სერტორის ლარიზაცია	21
სესხების მიმოხილვა	22
დეპოზიტების მიმოხილვა	23
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	24
საპროცენტო განაკვეთები	25




რეალური სექტორი

ეკონომიკური ზრდა


2021 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საშუალოდ გაიზარდა 8.8 პროცენტით, ხოლო 2021 წლის ეკონომიკურმა ზრდამ 10.4 პროცენტი შეადგინა, რაც, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2.9 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული წლიური ზრდა მნიშვნელოვნად გამოწვეულია საბაზო ეფექტით და როგორც პანდემიის საწყის პერიოდში გადავადებული მოთხოვნის მიმდინარე პერიოდში რეალიზაციით, ასევე - რეგიონში ეკონომიკური მდგომარეობის გააქტიურებით. წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის პირველ კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საშუალოდ გაიზარდა 14.4 პროცენტით. კერძოდ, პირველ კვარტალში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 43.3 პროცენტით, ხოლო იმპორტი წლიურად გაიზარდა 35.7 პროცენტით. ამავე დროს, 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 41.6 პროცენტით, ხოლო იმპორტი გაიზარდა 29.6 პროცენტით. საგარეო მოთხოვნა ზრდას განაგრძობს, თუმცა, ტურიზმის გათვალისწინებით, პანდემიამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, შემცირებული რჩება. საერთაშორისო მოგზაურობისგან მიღებული შემოსავალი პირველ კვარტალში წლიურად გაიზარდა 6-ჯერ, თუმცა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ადგილი აქვს 19 პროცენტიან შემცირებას.

2021 წლის დასაწყისში გაუარესებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, ადგილი ჰქონდა რიგ შეზღუდვებს, რაც ხელს უშლიდა ეკონომიკური აღდგენის პროცესს. შესაბამისად, პირველ კვარტალში რეალური მშპ წლიურად შემცირდა 4.1 პროცენტით. მოსალოდნელზე უფრო სწრაფი აღდგენა მოხდა 2021 წლის მეორე კვარტალში. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 28.9 პროცენტით, ხოლო 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, 10.2 პროცენტით. რაც შეეხება მესამე კვარტალს, 2020 წელთან შედარებით ზრდა 9.1 პროცენტზე დაფიქსირდა, ხოლო 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი ზრდამ 1.6 პროცენტი შეადგინა. მესამე კვარტალში მნიშვნელოვანი წილი მშპ-ს ზრდაში შეიტანა ექსპორტის კომპონენტმა, რაც რეალურ


დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა




დიაგრამა 2: სექტორების რეალური ზრდა, 2021 IV კვარტალი



დიაგრამა 3: ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია




დიაგრამა 4: ეკონომიკური ზრდის პროგნოზი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 5: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, ათასი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გამოსახულებაში წლიურად გაიზარდა 48.1 პროცენტით და შეიტანა 16.3 პ.პ. წვლილი. 2021 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ 8.8 პროცენტით გაიზარდა. ამავე დროს, რეალურ გამოსახულებაში მოხმარება წლიურად გაიზარდა 7.8 პროცენტით და შეიტანა 8.4 პ.პ. წვლილი, რასაც ტურიზმის სექტორის ნაწილობრივი აღდგენაც უწყობდა ხელს. მეორე კვარტალში არსებული მკვეთრი ზრდა აიხსნება მაღალი საბაზო ეფექტითა და პანდემიის წინა ეტაპებზე გადავადებული მოთხოვნის მიმდინარე პერიოდში რეალიზაციით. მესამე კვარტალში ზრდა აღინიშნა მრავალ სექტორში. 2021 წლის მეოთხე კვარტალში, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: ტრანსპორტი და დასაწყობება (40.6 პროცენტი), საბითუმო და საცალო ვაჭრობა (11.2 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (15.0 პროცენტი), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (72.8 პროცენტი), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (34.4 პროცენტი), ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება (56.5 პროცენტი), ხელოვნება, გართობა და დასვენება (31.0 პროცენტი), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (10.1 პროცენტი), ინფორმაცია და კომუნიკაცია (14.4 პროცენტი).

2022 წლის განმავლობაში ზრდა ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება რეგიონში არსებულ მდგომარეობასა და ქვეყნის ეკონომიკაზე მის გავლენაზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზის მიხედვით, 2022 წელს მოსალოდნელია 6.0 პროცენტის ეკონომიკური ზრდა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შიდა მოთხოვნის ზრდით და ბიუჯეტში გათვალისწინებული ფისკალური სტიმულების ღონისძიებებით. 2022 წლიდან ეკონომიკა გააგრძელებს საშუალოდ 5.2 პროცენტის ზრდას, 2022-2025 წლებში.




დასაქმება და უმუშევრობა

2021 წლის მეოთხე კვარტალში უმუშევრობის დონემ 19.0 პროცენტი შეადგინა, რაც 0.5 პპ-ით ნაკლებია წინა კვარტალის მნიშვნელობაზე და 1.4 პპ-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 20.1 პროცენტს (-2.1 პპ წ/წ), ხოლო სოფლად - 17.4 პროცენტს (-0.3 პპ წ/წ). უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა. 2021 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 51.2 პროცენტი შეადგინა. 2021 წლის მეოთხე კვარტალში, ქალების ჯგუფში უმუშევრობის დონემ შეადგინა 16.8 პროცენტი, ხოლო მამაკაცების ჯგუფში, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 20.6 პროცენტი.


2021 წლის მეოთხე კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 0.4 პროცენტით წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ხოლო 1.7 პროცენტული პუნქტით გაზრდილია დასაქმების დონე. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა წლიურად შემცირდა 5.2 პროცენტით. რაც შეეხება პროდუქტიულობას (რეალური გამოშვების შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობაზე), წლიურად გაიზარდა 4.7 პროცენტით. ამავე დროს, 11.3 პროცენტით გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი, რომელიც 2021 წლის მეოთხე კვარტალის მდგომარეობით შეადგენს 1463.8 ლარს.

დიაგრამა 6: შრომის ბაზრის ინდიკატორები



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 7: პროდუქტიულობა და დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (წლიური ცვლილება, %)




წყარო: საქსტატი

ფასების დონე

2022 წლის დასაწყისიდან შეინიშნება წლიური ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან მნიშვნელოვანი გადაჭარბება. აღნიშნულის მიზეზს ძირითადად წარმოადგენს მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორები, როგორც არის საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაძვირებული პროდუქცია და გლობალურად სატვირთო ტრანსპორტირების ხარჯების მკვეთრი ზრდა. ამავე დროს, წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე ასევე გავლენა იქონია კომუნალური გადასახადების ცვლილებამ, რადგან სუბსიდირების პროგრამის დასრულებამ აღნიშნული საქონლის ინფლაციის მაჩვენებელი იმაზე მეტად გაიზარდა, ვიდრე თავდაპირველი შემცირება იყო და მთლიანი ინფლაციის მაჩვენებლის მატება გამოიწვია. ინფლაციაზე ასევე გავლენას ახდენს მნიშვნელოვნად გააქტიურებული შიდა მოთხოვნა, რომელიც აღარ არის ინფლაციის შემამცირებელი ფაქტორი როგორც ეს იყო წინა პერიოდებში, ეკონომიკური ვარდნის დროს. გლობალური ინფლაცია წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების განხილვის საკითხს. საერთაშორისო ბაზარზე ნედლეულის, ნავთობის, გაზის ფასების ზრდამ და მნიშვნელოვანმა ფისკალურმა სტიმულებმა გამოიწვია ინფლაციური წნეხის ზრდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო პროგნოზის მიხედვით (აპრილი, 2022), მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე მსოფლიო ინფლაცია გაიზრდება 2021 წლის 4.7 პროცენტიდან 7.4 პროცენტამდე, განვითარებულ ქვეყნებში გაიზრდება 2021 წლის 3.1 პროცენტიდან 5.7 პროცენტამდე, ხოლო განვითარებად ქვეყნებში 5.9-დან 8.9 პროცენტამდე 2022 წელს. 2022 წლის პირველ კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 13.2 პროცენტი. აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვნად არის გამოწვეული საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სასურსათო პროდუქტების მზარდი ფასებით, რაც აისახება ადგილობრივ ფასებში და კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამის გაუქმებით. ამავე დროს, წინა პერიოდებში გაუფასურებული ლარის გაცვლითი კურსის ზეგავლენით, მაღალ დონეზე რჩება იმპორტირებული ინფლაცია. საბაზო ინფლაცია (თამბაქოს გარეშე) კი პირველ კვარტალში გაუტოლდა 5.6 პროცენტს.


30 მარტს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება

დიაგრამა 8: წლიური ინფლაცია



წყარო: საქსტატი, სეზ

დიაგრამა 9: ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პპ-ით გაზრდის თაობაზე, 11 პროცენტამდე, ფასების შემდგომი მომატების მოლოდინების ზეწოლის შესამსუბუქებლად. ეროვნული ბანკის მიხედვით, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოებას 2022 წლის მეორე კვარტლიდან დაიწყებს.

2022 წლის პირველი კვარტლის ჭრილში, მთლიან ინფლაციაში ადგილობრივი ინფლაციის წვლილი გაუტოლდა 6.3 პროცენტს, ხოლო იმპორტირებული ინფლაციის წვლილმა შეადგინა 3.6 პროცენტი. აღნიშნული დინამიკა გამოწვეულია სურსათზე ფასის მომატებით და სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონლის ჯგუფის მიერ შედარებით მაღალი წონის დაკავებით.



დიაგრამა 10: ინფლაციის დეკომპოზიცია, I კვარტალი, 2022



წყარო: საქსტატი

რეგიონის ეკონომიკის მიმოხილვა


COVID-19 პანდემიის შემდგომ, მსოფლიო ეკონომიკას ახასიათებდა V-სებრი ზრდის დინამიკა და კვლავ აღდგენის პერიოდში იყო. თუმცა, ზრდის პერსპექტივები გაუარესდა მას შემდეგ, რაც რუსეთი შეიჭრა უკრაინაში. IMF-ის აპრილის პროგნოზებით, 2022 და 2023 წლებში მსოფლიო ეკონომიკა გაიზრდება 3.6 პროცენტით, რაც 0.8 და 0.2 პ.პ-ით ნაკლებია ომამდელ პროგნოზებთან შედარებით. IMF-ის მიხედვით რუსეთ-უკრაინის ომი ყველაზე მეტად შეეხება შემდეგ რეგიონებს: ევროპა, კავკასია, შუა აზია, ჩრდილოეთ აფრიკა და სუბ-საჰარული აფრიკა. ომი გამოიწვევს ფასების მკვეთრ მატებას საწარმოო და საკვებ პროდუქტებზე, ვინაიდან რუსეთი და უკრაინა წარმოადგენენ ამ პროდუქციის მსხვილ მიმწოდებლებს მსოფლიოს ბაზრებზე.

2021 წლის მაღალი ზრდის შემდგომ, ევროზონის ეკონომიკა მოსალოდნელია, რომ გაიზრდება 2.8 და 2.3 პროცენტით 2022 და 2023 წლებში. აღნიშნული ზრდის ტემპები 1.1 და 0.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია ომამდელ პროგნოზებთან შედარებით.

იმის მიუხედავად რომ 2020 წელს თურქეთში არ ყოფილა რეცესია, მისი რეალური მშპ 2021 წელს შთამბეჭდავი 11.0 პროცენტით გაიზარდა. IMF-ის აპრილის პროგნოზით, თურქეთის ეკონომიკა 2.7 და 3.0 პროცენტით გაიზრდება 2022-2023 წლებში. მთავარ გამოწვევას თურქეთისთვის კვლავ ლირის გაუფასურება და მაღალი ინფლაცია წარმოადგენს. ინფლაციის მიმდინარე პროგნოზი 2022 წლისთვის 60.5 პროცენტს შეადგენს, 2021 წლის 19.6 პროცენტიანი ინფლაციის შემდეგ. რაც შეეხება თურქეთის საკრედიტო რეიტინგებს, ის არ შეცვლილა არც ერთი სარეიტინგო კომპანიის მიერ ომის მსვლელობისას. ბოლო ცვლილებით, Fitch-მა თურქეთის რეიტინგი BB- -იდან B+(ნეგატიური)-ზე დააქვეითა 2022 წლის 11 თებერვალს.


მსოფლიო ეკონომიკის ზრდის გაუარესების მთავარი მოქმედი წევრის - რუსეთის ეკონომიკა, სანქციების ფონზე, მოსალოდნელია რომ მკვეთრად შემცირდეს. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ზომებს, არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ საშუალოვადიანი გავლენაც ექნება, ვინაიდან მსხვილი მომხმარებლები და ქვეყნები უარს ამბობენ რუსეთთან გრძელვადიან პარტნიორობაზე ენერგო და სხვა სექტორებში. მოსალოდნელია რომ რუსეთის რეალური მშპ შემცირდება 8.5 პროცენტით 2022 წელს და 2.3 პროცენტით 2023 წელს. ეს პროგნოზები 11.3 და 4.4 პ.პ-ით ნაკლებია ომამდელ პროგნოზებზე.

დიაგრამა 11: ეკონომიკური ზრდა რეგიონში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 12: ინფლაცია რეგიონში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 13: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 14: ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

რუსეთის საშუალოვადიანი ზრდის ტემპი 0.7 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა 2004-2013 წლებში საშუალო ზრდის ტემპი 4.2 პროცენტი, ხოლო 2014-2020 წლებში - 2.1 პროცენტი. ამ წლების განმავლობაში რუსეთში მაღალი ინფლაციაა მოსალოდნელი, რაც 21.3 და 14.3 პროცენტს შეადგენს 2022-2023 წლებში. ამასთან, უმუშევრობის დონე ორჯერ უფრო მეტად გაიზრდება და 2022 წელს 9.2 პროცენტი იქნება. ყველა საკრედიტო სარეიტინგომ რუსეთის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი მკვეთრად გააუარესა და იმ ზღვარს მიაღწია, როდესაც ძალიან მაღალია დეფოლტის რისკი. Moody's-მა რუსეთის საკრედიტო რეიტინგი შეამცირა Ca (ნეგატიური)-მდე, Fitch-მა რეიტინგი დააქვეითა C-მდე, ხოლო S&P-მა CC-მდე. აღსანიშნავია, რომ ომამდელ პერიოდში სამივე საკრედიტო სააგენტოს მიხედვით რუსეთს გააჩნდა საინვესტიციო საკრედიტო რეიტინგი.

ომის შედეგად გაზრდილი ნავთობის ფასები დადებითად აისახება აზერბაიჯანის ეკონომიკაზე. 2021 წლის მაღალი ზრდის შემდგომ, 2022 და 2023 წლებში აზერბაიჯანის რეალური მშპ-ს ზრდა 2.8 და 2.3 პროცენტი იქნება, რაც მცირედით აღემატება მისი საშუალოვადიანი ზრდის ტემპს - 1.8 პროცენტს. ამ პერიოდში მოსალოდნელია ინფლაცია 12.3 და 8.7 პროცენტზე დაფიქსირდეს. 2022 წელს რაიმე ცვლილება საკრედიტო რეიტინგებში არ მომხდარა.

2021 წელს სომხეთმა ვერ შეძლო ეკონომიკის პანდემიამდე დონესთან დაახლოება. რეგიონის ქვეყნებში, გარდა ომში ჩართული ქვეყნებისა, სომხეთის ეკონომიკა ყველაზე მეტად დაზარალდება, ვინაიდან მისი ეკონომიკა ყველაზე მეტადაა რუსეთის ეკონომიკაზე დამოკიდებული. IMF-ის პროგნოზით, 2022 წელს სომხეთის რეალური მშპ 1.5 პროცენტით გაიზრდება, 2023 წელს კი 4 პროცენტით, რაც საშუალოვადიან 4.5 პროცენტიან ზრდასთან ახლოსაა. ინფლაცია კვლავ მაღალი, 7.5 და 5 პროცენტი იქნება 2022-2023 წელს, რაც რეგიონის ქვეყნებზე დაბალია. სამივე სააგენტომ სომხეთის საკრედიტო რეიტინგი 1 ნოჩით შეამცირა. Moody's-მა Ba3 (ნეგატიური)-მდე, Fitch-მა და S&P-მ B+ (სტაბილური)-მდე.

უკრაინის გარშემო მდგომარეობა გაურკვეველი რჩება. IMF არ აკეთებს რაიმე პროგნოზს 2022 წლის შემდგომ პერიოდზე, ვინაიდან მდგომარეობა მერყევია და ბევრი რამ შესაძლოა შეიცვალოს მიმდინარე და მომავალ პერიოდში. მათი მიხედვით, 2022 წელს უკრაინის ეკონომიკა შემცირდება 35.0 პროცენტით, რაც პირდაპირაა გამოწვეული რუსეთის ომით უკრაინაში, რამაც გამოიწვია ჰუმანიტარული კატასტროფა, დაანგრია ინფრასტრუქტურა და დევნილად აქცია მისი მოსახლეობა.



საგარეო სექტორი


მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 12.4 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი გაუარესებაა 2019 წლის 5.5 პროცენტის დეფიციტის შემდეგ. 2021 წლის პირველი კვარტლიდან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა გაუმჯობესება დაიწყო და 2021 წელს 9.8 პროცენტი შეადგინა, რაც 2.6 პ.პ გაუმჯობესებაა 2020 წელთან შედარებით. აღნიშნული გაუმჯობესება გამოწვეულია მომსახურების ექსპორტის მატებით, რაც განპირობებულია ტურიზმის ეტაპობრივი აღდგენითა და მიმდინარე ტრანსფერებით.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში უმჯობესდებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. 2019 წლის მესამე კვარტალში, ადგილი ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტს 0.4 პროცენტის დონეზე. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, დეფიციტის დაფინანსებაში საგარეო ვალი საკმაოდ დიდი წვლილით მონაწილეობს. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია 2020 წელი, როცა ვალით დაფინანსებამ საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა დეფიციტის დაფინანსებაში. 2021 წელს ვალით დაფინანსება შემცირდა, ხოლო ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების წვლილმა მცირედი გაუმჯობესება განიცადა.


2021 წლის მეოთხე კვარტალში კვლავ გრძელდება FDI-ის წილის ზრდა, კერძოდ FDI-ის წილი გაიზარდა 4.3 პ.პ-იდან 6.2 პ.პ-მდე, ვალის წილი კი მცირედით გაიზარდა შემცირდა 3.3 პ.პ-დან 3.5 პ.პ-მდე. 2021 წელს კი FDI-ს წილი მთლიანი დეფიციტის დაფინანსებაში 3.5 პ.პ-იდან 4.4 პ.პ-მდე გაიზარდა, ხოლო ვალის წილი შემცირდა 8.9 პ.პ-იდან 5.4 პ.პ-ამდე.

დიაგრამა 15: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 16: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 17: მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 18: საგარეო ვალი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 19: ვალის მშპ-თან თანაფარდობის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი.

დიაგრამა 20: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქსტატი

საგარეო ვალი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორისი სესხებისგან.

მიმდინარე პანდემიის პირობებში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2020 წელს და მთლიანი შიდა პროდუქტის 130.2 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით კი 23.5 პ.პ-ით გაიზარდა. საგარეო ვალის ზრდა მნიშვნელოვნად იყო გამოწვეული სამთავრობო სექტორის ვალის ზრდით, მიმდინარე პანდემიის განხორციელებული ღონისძიებებისა და მოხიდული დაფინანსების გამო. რაც შეეხება 2021 წელს, შეინიშნება საგარეო ვალის კლება. აღნიშნულ პერიოდში საგარეო ვალმა მთლიანი შიდა პროდუქტის 116.8 პროცენტი შეადგინა, რაც 13.4 პ.პ-ით ნაკლებია წინა წლის მონაცემთან შედარებით. კლების მიზეზს წარმოადგენს ეკონომიკური აქტივობის დაჩქარება და შესაბამისად, ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელო მეტად ზრდა.

საგარეო ვალის ცვლილების დეკომპოზიცია წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის ალბით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, ხოლო მშპ ძირითადად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას. რაც შეეხება 2021 წლის მესამე კვარტალს, ვალი 4.1 პ.პ-ით არის შემცირებული, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნომინალური მშპ-ს ზრდამ მესამე კვარტალში, -4.8 პპ კონტრიბუცია მთლიან ზრდაში. გაცვლით კურსი აღარ წარმოადგენს ვალის ზრდის ერთ-ერთ წყაროს (-0.1 პპ კონტრიბუცია მთლიან ზრდაში). მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კვლავ სტაბილურად ვალის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორია (+2.1 პპ კონტრიბუცია მთლიან ზრდაში).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


2020 წელს საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 572 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 57.2 პროცენტით ნაკლებია. აღნიშნული კლების გამომწვევი ძირითადი მიზეზია რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში (340.5 მლნ აშშ დოლარით შემცირება). რაც შეეხება 2021 წელს, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 1,152 მლნ. აშშ დოლარი, რაც 101.6 პროცენტით მეტია 2020 წელთან შედარებით. ამასთან, 2021 წლის მეოთხე კვარტალში ინვესტიციების მოცულობამ 411 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ს 7.5 პროცენტი), რაც 406.5 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით.

2021 წლის მეოთხე კვარტალში ყველაზე მეტი ინვესტიცია დიდი ბრიტანეთიდან შემოვიდა (79.1 პროცენტი მთლიან FDI-ში), ხოლო მეორე და მესამე ადგილს ინაწილებენ აშშ და ნიდერლანდები, შესაბამისი 8.8 და 5.3 პროცენტის წილებით მთლიან FDI-ში. 2021 წელს კი ყველაზე მეტი ინვესტიცია დიდი ბრიტანეთიდან შემოვიდა (51.8 პროცენტი მთლიან FDI-ში), ხოლო მეორე და მესამე ადგილს ინაწილებენ ნიდერლანდები და ჩეხეთი, შესაბამისი 10.9 და 7.1 პროცენტის წილებით მთლიან FDI-ში.

2021 წელს ინვესტიციები ძირითადად განხორციელდა საფინანსო სექტორში და 443 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ინვესტიციების 38.5 პროცენტი), ასევე მაღალი წილი მთლიან ინვესტიციებში უკავია ენერგეტიკის სექტორს 157 მილიონი აშშ დოლარით (13.6 პროცენტი) და დამამუშავებელ მრეწველობას 143 მილიონი აშშ დოლარით (12.4 პროცენტი). 2021 წელს უარყოფითი FDI დაფიქსირდა სამთომომპოვებითი მრეწველობასა და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებში.


FDI-ს სტრუქტურამ ცვლილება განიცადა ბოლოდროინდელი ტენდენციიდან. კერძოდ, მკვეთრად შემცირდა რეინვესტირების წილი მთლიან ინვესტიციებში. 2021 წელს რეინვესტირების წილი მთლიან ინვესტიციებში 87.5 პროცენტიდან 66.0 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ინვესტიციებში მისი წილი 3.2 პ.პ-დან 4.1 პ.პ-მდე გაიზარდა.

დიაგრამა 21: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 22: FDI-ის განაწილება, 2021




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 23: საგარეო ვაჭრობა, 2021 წელი




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 24: ადგილობრივი ექსპორტის წლიური ცვლილება




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 25: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 26: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი; ავტორის გაანგარიშება

საბარეო ვაჭრობა

2020 წელს COVID 19-ის პანდემიის ფონზე, მსოფლიოში საგარეო ვაჭრობამ იკლო, რაც საქართველოს ეკონომიკაზეც აისახა. შემცირებული საწარმოო და სამომხმარებლო აქტივობების ფონზე იმპორტმა კლება განიცადა, ხოლო 2020 წლის პირველ ნახევარში შემცირდა ექსპორტიც.

2021 წელს, მას შემდეგ რაც მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც დაიწყო შეზღუდვების მოხსნა, საგარეო ვაჭრობამ სწრაფი ტემპებით დაიწყო აღდგენა. გაზრდილ ექსპორტთან ერთად, სწრაფი ტემპებით აღდგა იმპორტიც. 2022 წლის პირველ კვარტალში ადგილობრივი ექსპორტის ნომინალურმა ზრდამ წლიურ 46.6 პროცენტთან ზრდას მიაღწია, რისი უმეტესი ნაწილი (39 პროცენტი) ფასისმიერი ზრდა იყო. ამავე პერიოდში იმპორტი 35.7 პროცენტით გაიზარდა, სადაც ზრდის 21.4 პროცენტი იმპორტის ფასების ცვლილებაზე მოდის.

2022 წლის პირველ კვარტალში, სამომხმარებლო პროდუქტის იმპორტი გაიზარდა 37.5 პროცენტით (12.8 კვ წილი მთლიან იმპორტში). მაღალი ზრდა დაფიქსირდა შუალედური პროდუქტის იმპორტშიც და 53.2 პროცენტს გაუტოლდა (19.2 კვ მთლიან იმპორტში). შედარებით დაბალი ზრდის ტემპი ჰქონდა საინვესტიციო პროდუქტს, რომლის ზრდამაც 12.4 პროცენტი შეადგინა (3.7 კვ მთლიან იმპორტში). 2022 წლის პირველ კვარტალში საქონლის ექსპორტი გაიზარდა 43.3 პროცენტით. ექსპორტის მთავარი შემადგენელი ნაწილი კვლავ, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატებს (მთლიანი ექსპორტის 23.1 პროცენტი), ფეროშენადნობებისა (მთლიანი ექსპორტის 13.7 პროცენტი) და მსუბუქი ავტომობილების (მთლიანი ექსპორტის 8.1 პროცენტი) ექსპორტს უკავიათ. უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი კვლავ ნავთობპროდუქტებმა, სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა და მსუბუქმა ავტომობილებმა შეადგინა.


ტურიზმი

პანდემიურ 2020 წელს, როდესაც ეკონომიკა მკაცრი შეზღუდვების პირობებში ფუნქციონირებდა, განსაკუთრებით დიდი დარტყმა ტურიზმის სექტორმა მიიღო. საზღვრების ჩაკეტვამ და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტამ 2020 წელს ტურისტების რაოდენობა თითქმის გაანულა. 2021 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო ტურიზმის სექტორის გაჯანსაღება. 2021 წლის მეორე კვარტალიდან ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად გაიზარდა. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა შემდგომ კვარტალებშიც. 2022 წლის პირველ კვარტალში ტურიზმიდან შემოსავალმა 393.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 635 პროცენტით აღემატება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებლის 68 პროცენტს შეადგენს.

ფულადი გზავნილები


2021 წელს წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობამ 2,032 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 24 პროცენტით მეტია წინა წელთან შედარებით. აღნიშნულ ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იტალიამ და აშშ-მ (ჯამურად 10,2 პროცენტის წვლილი). რაც შეეხება 2022 წელს, პირველ კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდამ 8 პროცენტი შეადგინა. ზრდაში ძირითადი წვლილი შეიტანა იტალიამ 3.5 პპ-ით. ასევე დადებითი წვლილი შეიტანეს გერმანიამ (2.2 პპ.), აშშ-მ (1.0 პპ.), ისრაელმა (0.6 პპ.). კლება დაფიქსირდა უკრაინიდან წმინდა ფულად გზავნილებში 77.9 პროცენტი, რამაც უარყოფითი წვლილი შეიტანა მთლიან ზრდაში 2.96 პპ-ით, ასევე შემცირდა წმინდა გზავნილები საბერძნეთიდან 16.5 პროცენტით, რამაც 2.1 პპ-ით შეამცირა მთლიანი ზრდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში რუსეთიდან ფულადი გზავნილები შემცირებული იყო და უარყოფითი წვლილი ჰქონდა გზავნილების ზრდაში. აღნიშნული დინამიკა შეიცვალა 2021 წელს, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ნავთობის ფასის ზრდასთან, თუმცა 2022 წლის პირველ კვარტალში კვლავ უარყოფითი წვლილი შეიტანა და 1.14 პპ-ით შეამცირა მთლიანი ზრდა.

დიაგრამა 27: ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, 2019 = 100




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 28: ტურიზმის აღდგენა ქვეყნების მიხედვით, 2019 წლის შესაბამისი თვე = 100, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 29: წმინდა ფულადი გზავნილები







წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება

საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების მიხედვით. მიმდინარე ანგარიშის შემოსულობებში ექსპორტის, ტურიზმისა და ტრანსფერების წილების მიხედვით, საქართველო ყველაზე მეტად დამოკიდებულია რუსეთზე, თურქეთზე, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებზე. 2021 წლის მეოთხე კვარტალის მიხედვით, რუსეთზე დამოკიდებულება 2020 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა, რუსეთზე დამოკიდებულების მთავარი განმაპირობებელი საქონლის ექსპორტია. თურქეთზე დამოკიდებულება კვლავ სტაბილურია, მაგრამ ბოლო კვარტალში შეინიშნება მატება წინა კვარტალთან შედარებით. მცირედით შემცირდა დამოკიდებულება უკრაინაზე, რაც გამოწვეულია უკრაინიდან ფულადი გზავნილების შემცირებით, აღნიშნული ტენდენცია მოსალოდნელია რომ გაგრძელდეს მიმდინარე წელსაც, რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში. მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს ევროკავშირზე დამოკიდებულება, მაგრამ 2021 წლის განმავლობაში შეინიშნება მცირედით კლება, ფულადი გზავნილებისა და ექსპორტის შემცირების გამო. თუმცა, 2021 წლის მეოთხე კვარტალში აღინიშნება მატება, რაც საქონლის ექსპორტითაა განპირობებული.


დიაგრამა 30: დამოკიდებულება სავაჭრო პარტნიორებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი


გაცვლითი კურსი

დიაგრამა 31: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 32: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 33: გაცვლითი კურსის მერყეობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

COVID-19 პანდემიის საწყის ეტაპზე, მაღალი გაურკვევლობის პირობებში, მთელ მსოფლიოში აღინიშნებოდა დოლარის გამყარება. 2021 წლიდან კი დოლარმა შესუსტება დაიწყო, როგორც განვითარებად, ისე - განვითარებული ქვეყნების ვალუტებთან. მსგავს ტრაექტორიას გაყვამ ღარიც. 2021 წლის აპრილიდან, ლარმა სწრაფი გამყარება დაიწყო, რასაც ხელს უწყობდა როგორც დოლარის დადმავალი ტენდენცია, ასევე - სწრაფად მზარდი ექსპორტი და გაუმჯობესებული მოლოდინები. 2022 წლის დასაწყისიდან შეინიშნებოდა ლარის გამყარება, მაგრამ რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული ომის შემდგომ, ლარი მკეთრად გაუფასურდა, შემდგომ კი დასტაბილურება დაიწყო გამყარების მხრივ. ამ ყველაფერმა გაზარდა ლარის მერყეობა, მაგრამ ლარის გაზრდილი მერყეობა თანხვედრაშია საქრთველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების ქცევასთან. სამომავლოდ რეგიონში გაზრდილი გაურკვევლობა და არასტაბილური გარემო, ომის კიდევ უფრო გაჭიანურება, სავალუტო შემოსულობების კლება ლარის გაუფასურებისკენ დამატებით წნეხს ქმნის.

2022 წლის პირველ კვარტალში ლარი დოლართან მიმართებაში გამყარდა 6.2 პროცენტით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ევროსთან კი - 12.7 პროცენტით. რაც შეეხება ლირას, ლარი 50.4 პროცენტით გამყარდა ამავე პერიოდში, ხოლო რუბლთან - 18.2 პროცენტით. 2022 წლის პირველი კვარტლის შემდგომ, ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მკვეთრად გამყარდა და მათ საშუალოვადიან ტრენდს აღემატება შესაბამისი 12.4 და 11.5 პროცენტით.

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების ცვლილება

	31 მარტი, 2022	31 მარ 2022 - 1 იან 2022	31 მარ 2022 - 1 იან 2021
ევრო	3.4496	▼ -6.8%	▼ -11.3%
აშშ დოლარი	3.1013	▼ -7.6%	▼ -13.8%
თურქული ლირა	0.2113	▲ 128.0%	▲ 139.2%
რუსული რუბლი	0.0368	▲ 25.4%	▲ 4.4%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	136.49	▲ 4.1%	▲ 23.4%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (მარტი, 2021)	127.32	▲ 1.2%	▲ 21.3%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



ფისკალური საქტორი ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2022 წლის პირველ კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,040 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში კი მოხილვებულ იქნა 4,091 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 101.3 პროცენტს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მოხილვებულა 1,214 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,207 მლნ ლარი) 100.5 პროცენტია.

- მოგების გადასახადის სახით მოხილვებულა 690 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (556 მლნ ლარი) 124.1 პროცენტია.

- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მოხილვებულა 1,611 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,430 მლნ ლარი) 112.7 პროცენტია.

- აქციზის სახით მოხილვებულა 320 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (322 მლნ ლარი) 99.3 პროცენტია.


- იმპორტის გადასახადის სახით მოხილვებულა 22 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 მლნ ლარი) 131.6 პროცენტია.

- ქონების გადასახადის სახით მოხილვებულა 10 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11 მლნ ლარი) 90.2 პროცენტია.

2022 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 33.5 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 12.6 პროცენტით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 683.6 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა 38.8 მლნ ლარით.


საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს იკავებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, რაც 2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით შეადგენს 90.7 პროცენტს. ნაერთმა ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 4,091 მლნ ლარი, რაც 38.4 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურად გაიზარდა 45.4 პროცენტით და გაუტოლდა 1,214 მლნ ლარს. მაღალი ზრდა შეინიშნება მოგების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის სახით, რაც წლიურად გაიზარდა 60.5

დიაგრამა 34: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 35: ნაერთი ბიუჯეტის სალდო




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 36: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 37: ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პროცენტით წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით და გაუტოლდა 690 მლნ ლარს, რაც შეადგენს საგადასახადო შემოსავლების 16.9 პროცენტს. ამავე დროს, გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება დამატებული ღირებულებისა და იმპორტის გადასახადებში. კერძოდ, დამატებული ღირებულების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 33.7 პროცენტით და მოიცავს საგადასახადო შემოსავლების 39.4 პროცენტს. რაც შეეხება იმპორტის გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალს, მისი წილი შეადგენს 0.5 პროცენტს, ხოლო ზრდის ტემპი გაუტოლდა 31.6 პროცენტს.

2022 წლის პირველ კვარტალში ხარჯები წლიურად გაიზარდა 12.6 პროცენტით და შეადგინა 3,825.1 მლნ ლარი. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ყველაზე დიდი წილი უკავია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯების 41.1 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი ტოლია 3.9 პროცენტის. ასევე გაიზარდა საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, რომლის წლიური ზრდის ტემპი გაუტოლდა 26.6 პროცენტს და შეადგინა 510.2 მლნ ლარი, რაც არის მთლიანი ხარჯების 13.3 პროცენტი. რაც შეეხება ხარჯების დანარჩენ მუხლებს, შრომის ანაზღაურებას (მთლიანი ხარჯების 13.8 პროცენტი), სუბსიდიებს (მთლიანი ხარჯების 11.0 პროცენტი), პროცენტს (მთლიანი ხარჯების 4.8 პროცენტი) და სხვა ხარჯებს (მთლიანი ხარჯების 15.8 პროცენტი), 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 8.5 პროცენტით, 21.9 პროცენტით, -0.3 პროცენტით და 32.3 პროცენტით მეტი იქნა მათზე მიმართული.



საქართველოს სახელმწიფო ვალი


2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 31,303 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 6,238.3 მლნ ლარს, მათ შორის:
 - ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეპ-ისტვის“) – 120.8 მლნ ლარი;
 - სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 182.0 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 340.0 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 5,553.0 მლნ ლარი;
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 25,064.9 მლნ ლარს.


დიაგრამა 38: საქართველოს სახელმწიფო ვალი




სახელმწიფო საგარეო ვალი



მრავალმხრივი



ორმხრივი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მონეტარული სექტორი

კარძო სექტორის ლარიზაცია



სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია, 2022 წლის 1 აპრილის მდომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 49.4 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს კვლავ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს. 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 64.8 პროცენტი, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე 32.3 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 2021 წლის განმავლობაში 88 პროცენტის ირგვლივ დასტაბილურდა და 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 87.9 პროცენტი შეადგენა, რაც შეეხება იპოთეკური სესხების ლარიზაციას, ის ამავე პერიოდში 39.0 პროცენტს გაუტოლდა.



დეპოზიტების ლარიზაცია მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სესხების ლარიზაციას. მთლიანი დეპოზიტების ლარიზაციამ 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 39.8 პროცენტი შეადგინა. დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია, რაც 2022 წლის 1 აპრილისთვის 65.7 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 27.0 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების ლარიზაციაში ძირითად კონტრიბუტორს კვლავ ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია წარმოადგენს, 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 40.4 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 44.8 პროცენტს შეადგენს, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია წინა კვარტალთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 30.2 პროცენტს გაუტოლდა.

დიაგრამა 39: სესხების ლარიზაცია





დიაგრამა 40: დეპოზიტების ლარიზაცია






დიაგრამა 41: სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 42: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხების მიმოხილვა

2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 16.9 პროცენტით გაიზარდა, რაც 1.0 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტალში დაფიქსირებულ მნიშვნელობას (კურსის ეფექტის გამორიცხვით). აგრეთვე მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება იურიდიული პირების სესხების წლიურ ზრდაშიც, რამაც განაპირობა 2022 წლის 1 აპრილისთვის მისი მნიშვნელობის 14.5 პროცენტამდე ზრდა, რაც 0.9 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტალის მაჩვენებელს. ამავე პერიოდში ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 19.1 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია რომ ეროვნული ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდას ბოლო პერიოდში ზრდის მაღალ ტემპს ინარჩუნებს. 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 21.5 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდამ 8.7 პროცენტი შეადგინა, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით აღემატება გასული კვარტალის მნიშვნელობას (კურსის ეფექტის გამორიცხვით).

2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 13.4 პროცენტი შეადგინა, რაც 0.7 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტალის მაჩვენებელს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებში 21.5 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა და 2.9 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტალის მნიშვნელობას, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული იპოთეკური სესხების ზრდა უფრო მაღალია წინა კვარტალთან შედარებით და 8.7 პროცენტი შეადგინა.




დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2022 წლის 1 აპრილისთვის, 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 10.2 პროცენტს შეადგენს, რაც 0.2 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მნიშვნელოვანი ზრდის დინამიკის შემდეგ უკანასკნელ კვარტლებში ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიურ ზრდაში დაფიქსირებული შემცირება, მაგრამ ზრდაში შემცირება 2021 წლის მესამე კვარტლის შემდგომ დასტაბილურდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები წინა კვარტალთან შედარებით 1.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 1 აპრილის მდგომარეობით 13.3 პროცენტი შეადგინა, ამავე პერიოდში კი უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 8.2 პროცენტი შეადგინა.

2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 11.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში მკეთრად შემცირდა და -11.1 პროცენტს გაუტოლდა. აღნიშნული ტენდენცია შეინიშნოდა მთელი პირველი კვარტლის განმავლობაში.


რაც შეეხება დეპოზიტების ზრდას ტიპების მიხედვით, კლება დაფიქსირდა ვადიან დეპოზიტებში, წლიური ზრდის ტემპის კლებამ შეადგინა 1.3 პროცენტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით შემცირდა 2.2 პპ-ით. რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშსა და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, მათ წლიურმა ზრდამ 1 აპრილის მდგომარეობით შეადგინა 7.9 და 2.8 პროცენტი.

დიაგრამა 43: დეპოზიტების წლიური ზრდა




მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

დიაგრამა 44: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 45: სეზონის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2022 წლის პირველ კვარტალში ჩაატარა 2 სხდომა: 2 თებერვლის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად დარჩა, ხოლო 30 მარტის სხდომაზე კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო რეფინანსირების განაკვეთი 0.5 პ.პ-ით 11.0 პროცენტამდე გაეზარდა.

სეზონის თანახმად, ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ და საომარმა მოქმედებებმა, ჯერ კიდევ პოსტპანდემიური აღდგენის პროცესში მყოფი მსოფლიო ეკონომიკა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ახალი შოკის ფონზე გამძაფრებულმა ინფლაციურმა რისკებმა უკვე გაზრდილი ინფლაციის შემცირების პროგნოზირებული ტემპები გლობალური მასშტაბით შეანელა. ასევე რუსეთის მიმართ დაწესებულმა სანქციებმა და მიწოდების შეზღუდვებმა, მსოფლიო ბაზრებზე საქონლის გარკვეული კატეგორიების ფასები მნიშვნელოვნად გაზარდა. განსაკუთრებით შეინიშნება ნავთობის გაძვირების ფონზე, საწვავის ფასების მკვეთრი მატება, რომელსაც, მოსალოდნელია, რომ ინფლაციის მაჩვენებელზე საგრძნობი გავლენა ექნება.

2022 წლის დასაწყისიდან ეროვნულმა ბანკმა პირველად 9 მარტს მოახდინა 39.570 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა.



საპროცენტო განაკვეთები


2022 წლის 1 აპრილისთვის, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.56 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.44 პროცენტს უტოლდება.

2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.64 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 1.58 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.56 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.44 პროცენტს შეადგენს.

2022 წლის 1 აპრილის საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 17.0 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 19.9 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 5.9 პროცენტი). გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს.



იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2022 წლის 31 მარტის ბოლოს 12.6 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.0 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 11.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.3 პროცენტი.

დიაგრამა 46: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 47: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული, როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

